სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 23 მაისი 26 1896 წ. № 23

შინაარსი: განცხადება.—სხვა-და-სხვა ამბავი.—დაბა სოფლებ ს აღწერა: დაბა ბოყო-პრომისლი და მ.სი ახლო-მახლო ადგილებ., სტუმარისა.—სვანეთის მჟავე წყალი, მოაშესი.—სიბრძნე სოლომონისა (ლეგენდა) დ. თომაშვილისა.—ადამიანთა სასჯელ.ს ისტორიიდან.—წვრილმანი.—ამონაკვნესი, ლექსი ი. ევდოშვილისა.—ნუშო, მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—ქალაქის გამგეობის განცხადება.—

კბილის ექიმი

ვ. ი. ქიქინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავათმყოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინაშვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

უმაღლესი მანიფესტი „კვალის“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

სხვა-და-სხვა ამბები.

Фოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს 26 მაისს არის დანიშნული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი, მუშტაიდის ბაღში, რომელიც უამინდობის გამო წარსულ კვირას ვერ მოხდა.

***

ქ. გორი. საშინელი წყალ-დიდობაა. სახელმწიფო ბაღი, გორის ერთად ერთი სასიამოვნო—გასართობი ადგილი ნახევარზე მეტი მოგლიჯა, საზაფხულო კლუბი წაიღო, ხიდს ბურჯი გამოაცალა, რის გამო მასზე ეტლების მიმოსვლა შეჩერებულია ხიდზე გასვლა ხალხისათვისაც კი საშიშია, რის გამო თითო-თითოს ლა უშვებენ.

***

19 მაისს დაასაფლავეს არქიმანდრიტი ამბროსი, მრავალი ხალხის, მთელი გორის სამღვდელოების და

არქ. ლეონიდის თანადასწრებით. მიცვალებული რკინის გზის სადგურიდან, წასვენებულ იქმნა და დაკრძალულ გორიჯვრის ძველ მონასტერში. გალობდენ თბილისის სასულიერო სემენარის მოსწავლენი. სიტყვა წარმოთქვა ზ. ედილაშვილმა.

***

თფილისის მიხეილის სამოქალაქო ფერშლის სასწავლებელში ეგზამენები დასრულდა 11-ს მაისს და წლიური აქტი ჰქონდათ 22-ს. სასწავლებელი დაამთავრა სულ ცამეტმა ყმაწვილმა, ამათ შორის შვიდი ქართველია. პირველ ხარისხით დაამთავრეს სწავლა სამმა: ლ. გურგენიძემ, ნ. ხორავამ, და კ. ჭელიძემ; მეორე ხარისხით: ი. მასხარაშვილმა, დ. ბ. ურუშაძემ, ა. ბურჭულაძემ და დ. რამიშვილმა.

დაბა-სოფლების აღწერა.

დაბა ბოჟი პრომისლი და მისი ახლო-მახლო ადგილები.

აჯიკაბულის სადგურიდან რომ წაბძანდეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით და განვლოთ 75 ვერსი, მიხვალთ დაბა ბოჟი პრომისლში, რომელიც შუა გული ალაგია თევზის მრეწველობისა. თუმცა თევზის ჭერა წარმოებს მთელ მდინარე მტკვარზე, მაგრამ უმთავრეს ალაგათ თევზის-მრეწველობისა ითვლება მტკვარი, დაწყებული მდინარე არაქსის შესართავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. აი ამ ალაგზე, რომელიც თითქმის ორას ვერსზეა გაჭიმული, მუშაობს აურაცხელი ხალხი. მდინარე მტკვარი არაქსის შესართავიდან შეადგენს სახელმწიფო კუთვნილებას, რომელიც ახლა კერძო პირებზეა გაცემული იჯარით. წინეთ მისი სარგებლობისათვის არავითარ გადასახადს არ იხდიდენ. იმ ნეტარხსენებულ დროს, როგორც მიამბო ერთმა მოხუცებულმა თათარმა, თევზს ყველა ადგილობრივი მოსახლე თავისუფლათ იჭერდა და მოჭარბებულს იაფ-ფასათ ყიდდა. ახლა კი ეს მხარე სულ სხვა სურათს წარმოადგენს: ადგილობრივ მკვიდრთა ნაცვლათ აქ გაბატონებულან უცხოელები, რასაკვირველია, კაპიტალის პატრონები, რომლებიც პირველებს ამუშავებენ და მათ შრომის ნაყოფს თვითონ იდებენ ჯიბეში. რა მიზეზს მოუხდენია ასეთი ძირითადი ცვლილება თევზის წარმოებაში? ჩვენი აზრით, ეს ცვლილება მოუხდენია ორ ახლათ დაბადებულ პირობას: ერთი მხრით, მდინარე მტკვრის მისაკუთრებას სახელმწიფოსაგან ამის გამო დაიჯარადრებას და მეორე მხრით, გზების გახსნას უმთავრესის ბაზრისაკენ. ათასი თუმნობით იჯარის გადახდა სად შეუძლია ლატაკ ალაგობრივ მცხოვრებს ან—და როგორ შეიძლებს იგი დაამუშაოს თევზი უმთავრესის ბაზრისათვის ისე, რომ გზაზე არ გაფუჭდეს,—ამისთვის საჭიროა დიდი კაპიტალი. აი, სწორეთ ესაა მიზეზი, რომ პირვანდელი ლატაკი მწარმოებელი, რომელიც მარტო თავისთვის იჭერდა თევზს და არა ბაზრისათვის უთმობს მოედანს მსხვილ მწარმოებელს ანუ კაპიტალისტს. არსდება აქ ქარხნები ფითოევისა და ისტამანოვთა კამპანიებისა, აგრეთვე ხსნიან ქარხნებს კერძო ფულიანი კაცები, მაგ. ძეკველიშვილი, მაილოვი, პოპოვი, ეიდერა, ციტოხცევი, ქამაევი და სხვანი. აქ მუშაობს ახლა ფული მილიონობით, ჯერ მარტო ხაზინა ღებულობს მექარხნეთაგან ათ მილიონამდე იჯარას. მარტო ერთი ფითოევის კამპანია იხდის წელიწადში 700,000 მანეთს. ხაზინა ნელ-ნელა უმატებს მტკვარს იჯარას, ამისდა მიხედვით მატულობს რასაკვირველია, თვით ფასი ნაწარმოებისა, ე. ი. თევზ-ხიზილალისა. ერთეულათ ნაყიდი ფუთი ხიზილალა ფასობს 35—40 მანეთამდე, წინათ კი 3—4 მანეთადაც არ ფასობდა. დოში და ზურგიელი ახლა ფასობს 7—8 მანეთამდე, უწინ კი 2 მანეთადაც არ ფასობდა. იჯარის გარდა თევზ-ხიზილალის ფასი აწია აგრეთვე ბაზრის გახსნამ. სალიანის ხიზილალა-თევზი მომეტებულ ნაწილათ მიდის ასტრახანით შიდა-რუსეთსა და ევროპაში, სადაც ის იყიდება „ასტრახანის ხიზილალა და თევზის“ სახელ-წოდებით. რუსეთის ვაჭრები ძალიან ეტანებიან სალიანის ხიზილალა-თევზს და ორისა და სამის წლით ადრე იკვეთვენ მთელ ნაწარმოებს მეთევზეთაგან;—აშკარაა, რუსეთსა და ევროპაში დიდი გასავალი ჰქონია კავკასიის ხიზილალა-თევზს. ბაქოდან სალიანამდე კვირაში ორჯელ მიდის გემი, რომელიც მიეზიდება თითქმის მთელ დამუშავებულ თევზ-ხიზილალას ბაქოსკენ, ხოლო აქედან ასტრახანს და მერე დიდ ბაზარზე (სალიანიდან ბოჟი პრომისლამდე 23 ვერსია). უმთავრესი პუნკტები თევზის-ჭერა—დამუშავებისა არის: ჯანგანი, ნიკოლაევკა, ნორაშენი, ბოჟი-პრომისლი, ბანოკი, კულტუკი, კურინსკაია და სხვ. აქ გაუშენებიათ კაპიტალისტებს ქარხნები და აუარებელ მუშა ხალხს ამუშავებენ. კაპიტალისტთა და მუშათა შორის შემდეგი დამოკიდებულებანი სუფევს: ა) მექარხნე წლიურათ ან თვიურათ ქირაობს მებადურს და სხვა მუშა ხალხს, აძლევს იმათ თავის საკუთარ თევზის დასაჭერ იარაღს; ნაქირავები მუშის ნაწარმოები მთლათ მექარხნის საკუთრებაა; ბ) თავისუფალი მებადური, რომელსაც შერჩენია საჭერი თევზის იარაღი, თავის ხარჯით

ქირაობს მუშებს და დაჭერილ თევზს ჰყიდის მექარხნეზე; გ) მექარხნე აძლევს ფულს მებადურს თავდაპირველათ, ხოლო უკანასკნელმა უნდა მთელი თავისი დაჭერილი თევზი მიჰყიდოს იმავე მექარხნეს. აშკარათ ჩანს აქედან, რომ თევზის მრეწველობას ბოჟი-პრომისლის მიდამოებში მიუღია კაპიტალისტური ფორმა წარმოებისა. ყველაზე მსხვილ მწარმოებლათ აქ ითვლება ფითოევის კამპანია, რომელსაც უმთავრესი საწყობი თევზისა ჰქონია ამ ოთხი-ხუთის წლის წინეთ ბოჟი-პრომისლში, ხოლო ახლა გადუტანია ბანოკში, რომელიც ბოჟი-პრომისლიდან ათი ვერსის მანძილზეა. აი, რა სურათს წარმოადგენს ბანოკი: მტკვრის კიდეზე არის გაკეთებული სიმაგრე (ПЛОТЪ) აივანის მსგავსი, სადაც გროვდება თევზი, იშ·გნება, იჭრება, კოდებში მარილდება, ხიზილალა კი იდება ცალკე. ცოტა ამაზე მოშორებით დგას ორ-სართულიანი ფიცრული სახლი, სადგომი კამპანიის გამგესი. ამ სახლის გარშემო რამდენიმე გძელგძელი ქვიტკირის შენობებია გაჭიანურებული—ეს ზე-გამოჭრილი ყაზარმებია; აქ არის მოთავსებული სახელოსნოები კოდებისა, თოკებისა, ჩანგლებისა, ქილობებისა, ბადეებისა; ფარჩეულისა, საწვრილმანოს და სასმელების დუქნები, საავათმყოფო ექიმითა და აფთიაქით, მუშათა და მოსამსახურე პირთა სადგომები. როგორც მითხრეს ფითოევის კამპანიას 3,000 მდე მუშა ხალხი ჰყოლია. დაწყებული გამგედან ვიდრე უკანასკნელ ბადის-გამომტანლამდე ყველას ჯამაგირთან ერთათ ეძლევა საჭმელი და ბინა. ეროვნობით მოსამსახურე ხალხი ასე განაწილდება: გამგე, მისი თანაშემწე, ბუხგალტერი, მისი თანაშემწე, ზედამხედველები—სომხები არიან, ამათი შრომა საკმარისათაა დაჯილდოებული. გამგე იღებს 8,000 მანეთს ჯამაგირს და ამდენსავე ჯილდოს. თევზის მჭრელები, ხიზილალის მკეთებლები თათრები და სომხები არიან, ამათი შრომაც გვარიანათ ფასობს. მეკოდეები და მეჩანგლეები სულ რუსები არიან, მებადურები რუსებიც არიან და თათრებიც. პირველები თვიურათ იღებენ 15—18 მანეთამდე, მეორენი 9 მანეთამდე. ზემოთ დასახელებულ ყაზარმულ სახლებში ცხოვრებენ რუსები თავიანთ ცოლ-შვილით. კედელზე მიდგმულია მაღალი საწოლი ტახტები; ზოგიერთ საწოლ ტახტის წინ რუსული აკვანია დაკიდული ჭერზე; ზოგიერთი ბინები დაყოფილია ჩამოფარებული ზეწრებით; შუა-გულ სახლისა დიდი პლიტაა გამართული, სადაც თითოეული ოჯახი ცალკე იხარშავს საჭმელს (სანოვაგე თითოეულ მუშას ცალკე ეძლევა დღეში ერთი გირვანქა ძროხის ხორცი[1]) და სამყოფი პური). რამდენიმე ოჯახის ერთათ ცხოვრებას ვიწრო სადგურებში მოდევს, რასაკვირველია, სქესებრივი არევ დარევა და ხშირი ავათმყოფობა, რასაც მართლა ვხედავთ აქ. გარდა ამისა მუშა ხალხი მოკლებულია აგრეთვე სწავლა-განათლებასაც, რომელიც არსებით პურზე არა ნაკლებ მოთხოვნილებას უნდა შეადგენდეს თანამედროვე პირისათვის. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, ის თუ რა მიზეზით არსებობს ბოჟი-პრომისლში სამრევლო შკოლა, სადაც ოთხი კომლი ცხოვრებს (ბოქაული, მღვდელი, თევზის პოლიციის უფროსი და ფოშტა-ტელეგრაფის უფროსი), მაშინ როდესაც ბანოკში სამოცი კომლის მოზარდი თაობა უმეცრების მორევში ცურავს. ნუ თუ არ შეიძლება შკოლის გადატანა ბანოკში, საცა უფრო საჭიროა იგი? სასურველია, რომ ამას მიაქციოს ყურადღება ან სასულიერო მთავრობამ ან თვით ფითოევის კამპანიის გამგემ, უფრო უკანასკნელმა.

ბადის გამომტანები სულ თათრები არიან, რომელთა შრომა ძლიერ მცირეთ ფასობს; უწინ თურმე ამ საქმეს ასრულებდენ რუ'ები, მაგრამ თვიური ოთხი მანეთით ვერ დაკმაყოფილებულიყვენ და თავი დაენებებიათ. ამათი მუშაობა წმინდა პირუტყვულია: ხუთი-ექვსი კაცია ბადეში შებმული, დგანან წყალში და ეწევიან ბადეს მხრებით დილით საღამომდე. ასეა სწორეთ მოწყობილი თევზის-ჭერა-დამუშავება დანარჩენ ქარხნებშიაც.

დასასრულ არ შეგვიძლია არ გავიხსენიოთ ის გარემოება, რომ ბოჟი-პრომისლის მიდამოებში ამ წელს აღმოუჩენიათ ნავთის ნაქონები; ზოგიერთ ფულის პატრონთ კიდევაც აუღიათ იჯარით რამდენიმე ალაგი და იმედია ახლო ხანში აქ გაჩაღდება წარმოება ნავთისა.

სტუმარი.

---

1) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივ მუშებს—თევზის დამჭერლებს—თევზის ჭამა აღკრძალული აქვთ; ხოლო რომელიმე დღესასწაულ დღეს, მაგალ. აღდგომას და შობას გაიხსნილებენ თევზით. ამიტომ ძლიერ ნატრული არიან თევზისა. ხორცი კი ძლიერ იაფია აქ.

სვანეთის მჟავე წყალი.

ქუთაისის გუბერნიაში განთქმულია რაჭის მჟავე წყალი. ყოველ წლობით დიდ-ძალი ხალხი, ავათმყოფი და კარგათ მყოფიც, მიემგზავრება იქ და იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც არ გაეგონოს ამ წყალზე რამე. პირ-იქით ძალიან მცირეა იმათი რიცხვი, რომელმაც იცის სვანეთის მჟავე წყლის არსებობაზე და კიდევ უფრო ცოტაა, ვინც იქ ყოფილა. ამისთვის ნამეტანი არ იქნება ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველს, იქნება მომავალში მჟავე წყალი დაჭირდეს და ეს მცირე ცნობები რამედ გამოიყენოს.

მჟავე წყალი არის ქვემო სვანეთში, ლაშხეთის საზოგადოებაში. მგზავრს შეუძლია ჩავიდეს იქ ცაგერიდან ორი გზით: ერთი, შემოსავლელია უფრო სწორი, სიგრძით არის, როგორც ამბობენ, 50—54 ვერსი, მეორე კი, უფრო აღმართ-დაღმართი, ასე 38 ვერსამდე. პირველი გზით მიმავალი მგზავრი, როდესაც შევა ს. საშაშში, უნდა აჰყვეს ნაძვნარით დაბურულ მთის ფერდოს. მგზავრი მიდის და თან ფიქრობს: გზა დავკარგე, აქეთ არ უნდა წამოვსულიყავიო. მაგრამ გაივლის თუ არა ერთი ან ორი ვერსის მანძილს, მას თვალწინ ეშლება მინდორი, რომლის ნახევარიც შეადგენს სათიბს და ცალკე გადაღობილია, ხოლო მეორე ნახევარში არის მჟავე წყალი და მომსვლელთათვის სახლები. ამ ალაგს ჰქვია მუაში ან მოაში. პირველათ კაცზე (სანამ არ მივა და არ დაბინავდება) ახდენს საუცხოვო შთაბეჭდილებას. ასეც უნდა იყოს; კაცი დგას და ტკბება შვენიერი ჰაერის სუნთქვით და სხვა-და-სხვა სურათების ცქერით: ერთი მხრით თვალ-უწვდენელი ნაძვის ხეები, რომელიც ფარავს მთელ ჯვარის მთის ფერდოს (ასე ქვია იმ მთას, რომელზედაც მჟავე წყალია), აქედანვე მოჩანან ახლობელ სერებზე გაჭიმული სოფლები, მათი ხშირ-ხშირი კოშკებით და პატარ-პატარა ეკლესიებით, რომელთა შორის ბევრი შესანიშნავია ძვირფასი ძველი ხატებით და მათზე ხალხის თქმულებით. ამ სერებთან ამაღლებული არიან უფრო მაღალი მთები, რომელთა წვეროებიც აჭრელებულია აქა იქ თოვლით. უმაღლესი წვეროები კი ერთიანათ დაფარულია თოვლით. ბევრ რამე კარგ სურათებს ხედავს კაცი მუაშიდან, მაგრამ მათი სრულებით აწერა ცოტა არ იყოს, ძნელია არა პოეტისთვის და რადგანაც თქვენი უმორჩილესი უკანასკნელთა რიცხვში არ ურევია, ამისთვის თავს ვანებებ არე-მარის და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე ლაპარაკს. საჭიროა თვით მკითხველმა ნახოს ის არე-მარე და ისიამოვნოს იმის მზერით; მაშინ ის, უეჭველია, ჩვენთან ერთათ იტყვის: ბუნებას ყოველი თავისი ძალ-ღონე უხმარია, რომ მუაში ყოფილიყო პირველ საავარაკო ალაგათ.

ამბობენ, ამ წყლებზე ხალხი დადის შვიდი-რვა წელიწადიაო. ყველას, ვინც კი ამას გაიგონებს, სრული უფლება აქვს იკითხოს: ამ დროის განმავლობაში გაუკეთებიათ რამე, რომ მუაშეს (ასე ეძახიან იმას, ვინც მჟავე წყალზე მიდის) შეეძლოს იცხოვროს ისე, რომ საჭმლის შოვნისთვის ძალიან არ შეწუხდეს; ჰქონდეს ისეთი სახლი, რომ ქარის დროს იმაში მდგომს ქვალი არ დაადგეს და წვიმის დროს ქვეშ-საგები არ დაუსველდესო? სამწუხაროთ, ყველა ამას მოკლებულია მოაშე. წახდენით კი, მგონია, ცოტა არ წაუხდენიათ. მაგალითს მოგახსენებთ: წინეთ ის ადგილი, საიდანაც მჟავე წყალი ამოჩუხჩუხებს, ყოფილა დაფარული დიდი სიპი ქვით, რომელსაც ჰქონია სიგრძე-სიგანით რამოდენიმე ადლი. ვილაც ვაჟბატონს მეცნიერება მიუთვისებია, უფიქრია, თუ ამ ქვას ამ არე-მარეს მოვაშორებ უთუოთ წყალი გაუმჯობესდება და ამით მეც პირველ ხარისხის მეცნიერთა შორის მექნება ალაგიო. ამ სურვილით აღჭურვილს მოხელეს თავისი აზრი სისრულეში მოუყვანია. ამისთვის საჭირო იყო მისგან მამასახლისისადმი მიმართული სიტყვები: „ფიცხლავ აასრულე“. ქვა კი „ფიცხლავ“ დაუტეხიათ, მაგრამ მჟავე წყალი, თუ სრულიათ არა, შესამჩნევათ გაფუჭებულა. ეს მოხდა მისთვის, რომ მჟავე წყლის ახლო რამდენსამე ალაგას არის წყაროები, რომლების წყალიც თავისუფლათ ერთვის მჟავე წყალს. ამის წინაალმდეგ არავითარი საშუალება არ მიუღიათ. ბევრი ეხვეწენ მუაშეები. ვისიც ჯერ იყო, სხვა საშუალებას მოკლებული, თხრილი მაინც ამოეღოთ მჟავე წყლის გვერდით; თხრილში ჩავიდოდა წყაროს წყალი და ამით ის აცდებოდა მჟავე წყალს. მაგრამ ამაოთ: თხოვნა მანამდის არ შეიწყნარეს, სანამდის მანეთს არ დაპირდენ საჩუქრათ. წარმოიდგინეთ თქვენ იქაური მოხელეების კაცთ-მოყვარეობა, როდესაც იმათ, მანეთის მაგიერ, მოითხოვეს თითო სულზე თითო აბაზი, რაც შეადგენდა რამდენსამე მანეთს, ამ ერთი თუ ორი საათის მუშაობისათვის! მერე ვინ ბძანდებიან ეგ ვაჟბატონები? ეს გახლავან ისინი, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მოაში მისი მჟავე წყლით დ სახლებით, ეს გახლავთ ისინი, რომელთა მოვალეობას შეადგენს მჟავე წყლის არე-მარის, მოაშის ეზოს სუფთათ შენახვა, სახლების სახურავის შეკეთება და სხვა; მაგრამ არაფერს ამას ეს მოხელეები არ აკეთებენ, თავიანთ ჯამაგირს კი ყოველთვის დროზე იღებენ. მოაში, უფრო ბოსელს ჰგავს. ამ მოხელეებს ჰქვია

მცველები, ან, როგორც იქ ეძახიან, „ტკაჩოები“. კარგი მცველებია!! ეზოს სისუფთაევეს თავი დავანებოთ, ვიკითხოთ როგორია სახლები? მოაშში არის სულ ოთხი ოთახი, რომლებსაც აქვთ ფიცრის პოლი. კედლები კი აშენებულია მრგვალ ჭერებისაგან, მაგრამ ისე კარგათ, რომ იმათ შუა პატარა ჩიტი თავისუფლათ გაძვრება. თუ ამას ისიც დაუმატეთ, რომ სახურავიც ასე შეენიერათ არის ნაკეთები, მაშინ მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, რა მდგომარეობაშიაც იქნება მჟავე წყალზე მყოფი ავდრის დროს. ამ ოთხ ოთახში ყველა ხომ არ დაეტევა! იქ დადგება ის, ვინც სხვაზე ადრე მივა. დანარჩენების მდგომ რეობა უფრო გაჭირვებულია, რადგანაც მათ უნდა იცხოვრონ ქოხებში. მკითხველო, არ აჩქარდეთ, არ იფიქროთ, რომ ეგ ქოხები მაინც გაკეთებული დახვდეთ მოსულებს. არ მოგეცეს სიავე! აბა რა ჭკუაა, გაკეთონ და მერე, შეიძლება, შიგ მდგომი არ იქნეს! მიდიხართ, ბინას თხოვულობთ, მოგახსენებენ, მოითმინე, ჩქარა გაკეთდებაო. თქვენ გიკვირთ და კითხულობთ, რაშია საქმე; როდესაც გაიგებთ, უნდა დაემორჩილოთ ბედს: დაბრძანდით ხეს ქვეშ და უცადეთ სანამდის თქვენი ბინა გაკეთდებოდეს. ვინიცობაა, საღამოს მოგიხდათ იქ მისელა, ნურას უკაცრავათ, იმავე ხის ძირას უნდა მოსვენოთ ღამითაც. ბინას ამ ნაირათ აკეთებენ: მოაქვთ წკნელი, ღობვენ ოთხ კედელს (კიდევ კარგი, წელს არც ეს იყო საღობავი, რადგანაც შარშანდელი ქოხების ძველი კედლები კიდევ იდგენ) ზევიდან დაადებენ რამდენიმე ჭოკს, შემდეგ კედლებს და ჭოკებს დაჰფარავენ ნაძვის პატარა შტოებით. შიგ, შეიძლება, დაადგონ ორი ფიცარი —აი თქვენი საწოლი, თან შეაგორებენ ჯირკს —აი თქვენი სკამი. მორჩა და გათავდა. დაბინავდით ასეთ სადგომში, შეუდექით ხარჯის შოვას, აქაც გაკვირვებული რჩებით. სვანმა არაფრის გაყიდვა არ იცის. ეკითხებით, რა ღირს შენი საქონელი? —მე რა ვიცი, თქვენ უკეთ არ უნდა იცოდეთ, გიპასუხებთ ის.—არა, შენი საქონელი შენ უნდა დაიფასო, ეუბნებით თქვენ.—რაც გენებოს, ის მიბოძეთ, გესმით პასუხათ. თქვენ იძულებული ხართ, სხვისი საქონელი დაიფასოთ. სვანი, გაიგებს რა თქვენგან ფასს, უმატებს თან-და-თან, სანამდის ან თქვენ არ დაანებებთ თავს და ან მის გულმოსაჯერებელ ფასს არ მისცემთ. რაც უნდა ძვირათ გაყიდოს სვანმა, ის მაინც ფიქრობს: უთუოთ მომატყუილეს, ჩემი საქონელი მეტი ღირდა, თუ არა, რათ იყიდდენ ასეო. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ, თუ თქვენ ნაყიდი გარიგებისათანავე არ წაიღეთ, გამყიდველი შემდეგ კიდევ რამეს მოუმატებს. სვანმა საღამოს გაყიდა პატარა ხბო სამ მანეთათ, მეორე დილას კი, წამოყვანის დროს, მოითხოვა ხუთი მანეთი. ბოთლი რძე ღირს შაური; შეიძლება, დიდი დამადლებით, იშოვოთ ხუთ შაურათ. მუაშის მოხელეებმა ყველაფერი ეს კარგათ იციან, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხებიათ, ან არ უფიქრიათ, რომ გაუადვილონ ცხოვრება იქ მყოფ მოგზარაკეთ. მართალია, წელს იქ ამოვიდა ერთი მედუქნე, მაგრამ იმაზე ითქმის: გინდ მგელს შეუჭამიხარ, გინდ მგლის ფერს ძაღლსაო. მოკლებული ყოველგვარ ზედამხედველობას, ეს მედუქნე ასაღებდა პურს და ხორცს იმ ფასათ, როგორსაც მოისურვებდა (3 გირვან. პურს—20 კაპ., —ხორცს 30—35 კაპ.). ფასზე კიდევ არა ითქმის-რა, რაუყოთ, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, ნათქვამია; მაგრამ საქმე ისაა, რომ პური თითქმის ცომი იყო, რა არის, უფრო ბევრი აიწონოსო. ამოვიდა ერთხელ ბოქაული, შეჭჩივლეს იმას ასეა საქმეო. ბოქაულმა უბრძანა: მეორეთ არ გაბედო, თვარა ოქმს შეგიყენებო. ბოქაული მეორე დღეს წავიდა, მეპურემ კი თავი აიშვა, თქვა მეორათაც გავბედავ და მესამეთაცო და განაგრძო ცომი პურის გასაღება. ასეთი ცხოვრება აქვს მჟავე წყალზე მყოფს სვანეთში: თუ იშოვა საჭმელი, უსათუოთ ცომი პურია, თუ არა და სულ არაფერი არ იქნება. ცხენებს მთაზე გზავნიან; პატრონი ფაქრობს, ისინი მაინც დასუქდებიანო. წარმოიდგინეთ თქვენ მოაშეს განცვიფრება, როდესაც ის ერთ დღეს ხედავს თავის ქოხის წინ ცხენებს, ისე გამხდრებს, რომ ჰგონია ერთი თვე არაფერი უჭამიათო. ეს კიდევ ცოტაა, ცხენებს ზურგზე ტყავი არ აქვთ. პატრონი გაიგებს, რომ მისი ცხენები იყვენ იმ მთაზე, რომელზედაც გადადის გზა სვანეთიდან ლეჩხუმში, იქ ისინი დაუჭერიათ, წაუყვანიათ, უმუშავებიათ ღამე დაბრუნებულან დასაპალნებულნი და, რადგანაც ისევ მთაზე გარეკა დაზარებიათ, დაუტოვებიათ მუაშში. ამას შემდეგ მოაშეს რჩება ერთი საშუალება: აიბარგოს და დაბრუნდეს უკან, ასეც იქცევა. მოიხმობს „ტკაჩოებს“ ანგარიშის ჩასაბარებლათ. თუმცა-ღა კარგათ იცის, რაც უნდა გადაიხადოს, მაგრამ მაინც ეკითხება: რა გერგებათ? ისინი უპასუხებენ: ამდენი და ამდენიო. ეს „ამდენი“ უსათუოთ რამდენიმე მანეთით მეტია იმაზე, რაც იმათ ერგებათ. მოაშე ეუბნება: მე ვიდექი ამდენი დღე, დღეში იღებთ ათ შაურს სახლის ქირას, ცხენების საბალახოთ გერგება ეს, რაც სულ შეადგენს ამდენს. ამის პასუხათ გაისმის ისეთი ლანძღვა-გინება და ყვირილი, რომ მთელი იქაური საზოგადოება თავს იყრის ამბის გასაგებათ. ამ ლანძღვით და ყვირილით მოხელეები თხოულობენ თითო ცხენზე მანეთს, თუმცა გარიგებული იყავით ათ შაურათ, თუ ერთხელ ან

ორჯელ რკინის წყალში [1]) იბანავეთ, ეს საკმარისია, რომ გიანგარიშონ დღეში ორი ბანაობა და თითო ბანაობისთვის ორ-ორი შაური თქვენ გინდათ განთავისუფლდეთ ლანძღვა-გინებისაგან და თხოულობთ იმ წიგნს, რომელიც მოგიტანეს მისვლისათანავე და რომელშიაც ჩაწერეთ, როდის მისულხართ და აგრეთვე ის, რომ გადასახადი დღე და ღამე არის ათი შაური. ამასთან გამოგიცხადეს, რომ ამ ათი შაურის გარდა არაფერი გადაგხდებათ არც რკინის წყალში ბანაობისთვის, არც შეშისთვის და სხვა. აი, ამ წიგნს თხოულობთ, გინდათ ჩაწეროთ მაინც შიგ რამდენსაც გახდეინებენ, მაგრამ ვინაა თქვენი კანონიერი თხოვნის აღმსრულებელი? გნებავთ თუ არა გადაიხადეთ, რაც გითხრეს, თორემ წასვლას ვერ ეღირსებით ამ თვეშიო,—გესმით. დარჩენას, თქვენ ამჯობინებთ, რასაკვირველია, რამდენიმე მანეთი მეტი მისცეთ და მოშორდეთ მუაშის მოხელეების შარებს.

მოაშე.

სიბრძნე სოლომონისა.

(ლეგენდა)

I

ზის ტასტზე ბორგიან-მოსილი,
ათ-გვარ სკრავზე მდგრადი
დავით, ქებათა, ფსალმუნთა
ღვთივ-შვენიერთა მწერალი,
მამა სოლომონ დიდისა,
ზეგარდმო მადლით ცხებული,
თვის დიდებით, სიქველით
მეფეთა შორის ქებული.
ღმერთს მისთვის მიუფლენია
მადლი წინასწარ-ცნობისა,
მისნი ნათქვამნი წინ-და-წინ,
ამღელვებელნი გრძნობისა..

სასწორ-სიმართლით განაგებს
ხალხსა, ღვთისაგან რჩეულსა;
მოუკვრეს სვდება მოუგრეულთა,
მტერს დევნის ღვთისგან წეულსა.
მის ხალხში სუფევს თანხმობა
და სიყვარული ძმურია;
ძვირთ ვინმეა ჩაგრული,
დიდი თუ უსუსურია.
ობოლს, ქვრივ-ოსერს, დიდებულს,
სამართალს უჩენს ყველასა;
მწუსის ფარას, ღვთისგან რწმენებულს,
არ ატანს მგელსა, მელასა...
ჭა, ისლატ მოდის იმასთან
ვიღაცა სამართალზედა;
მოდის თავ-დახრით, მდაბალთა,
ქუდი არ ხურავს თავზედა.
რაღაცა სევდა ემჩნევა
მას ჩაფიქრებულს სახეში;
ეტყობა სევდა დიდი აქვს
ტრემლი უგორავს თვალებში.
თაყვანისცა მან მიწამდის
დიდებულს მეფეს მდაბალთა.
ფეხზე წამოდგა დავითი
და ასე უთხრა მწყრალთა:
—არ იცი, რომ მეც კაცი ვარ?
თაყვანს რათ მცემ ვით ღმერთსაო?
არ იცი—თაყვანის ცემა
შვენის მარტო იმ ერთსაო!?
და შემდეგ ტკბილის ღიმილით
და მამობრივის ზრუნვითა,
მან მოისმინა მის თხოვნა,
აღსავსე დიდის ზმუნვითა.

II

შენი სვიანის სკიპტრის ქვეშ
კიუკვი ბედნიერია,
მამისგან დანატოვარი
პეტონდა სიმდიდრე ბევრია.
ტკბებოდენ ჩემი წყალობით
ჩემნი მოურავ—ყმანია;
ისინი ისე მიეკვრდა,
როგორც უმცროსნი ძმანია.
დედ-მამა არ მყავს, ძმიკს მასსოვს

---

[1]) მეკვე წელიდან ორ კვრსზე მოშორებით არის რკინის წყალი, სადაც პატარა ჯარგვალია (ქოხი) და შიგ კითხვა კანა. ისლო-მასლო სოფლებიდან დიდ-ძალი ხალხი მიდის რკინის წყალზე საბანაოთ, მაგრამ ცარცვა-გლეჯა აღვირ-ფასდილ მოხელეებისაგან ბევრს არ აძლევს ნებას თავის სურვილი შეასრულოს.

მე ნანა მათი ტკბილია;
მყავდა მეუღლე მზის დარი,
და ერთი ვაჟი-შვილია.
როცა, მეფეთა მეფეო,
ჩვენ მტერი შემოგვესია,
შვილითურთ ბრძოლის ველს გავქე,
მეც შევასრულე წესია.
მე ცოლი ჩემი, ქონება
სულ ჩავაბარე მოურავს,
პირსა სანდოსა, რომლისგან
არ მოველოდი სულაც ავს.
ვუთხარ: გაბარებ ჩემს ცოლსა
და მასთან სულ ჩემ ქონებას
და იმედი მაქვს ცუდს არ იქმ,
არ დაიბნელებ გონებას...
მან ფიცი მომცა, ახსენა
სახელი ღვთის მაღლისა
და მეც თამამათ წაველი,
გამგონებელი ამისა.
მიველით მტრის წინ, ვადინეთ
ჩვენ მათი სისხლის ღვარები;
გავჟლიტეთ მტერი, შევმუსრეთ,
ამოწყდა მათი გვარები!
ვაჟ-კაცობითა განითქვა
იმ დღეს ისრაილთ სახელი,
ჰკვირობდა მის ვაჟ-კაცობას
მტერი, ამისი მნახველი.
იქ შვილმა ჩემმა მტრის წინა
თავი შეწირა მამულსა,
ეს არ აკვნესებს,—ასარებს
კიდეც დაჩაგრულს ჩემ გულსა,
მტერი იძლია, ჩვენ დავრჩით
იმათზე გამარჯვებული;
დავბრუნდით ძლევა-მოსილნი,
დავბრუნდით გახარებული.
შენის მეფობის მტერმაცა
ნუ ნახოს ის სანახავი,
სახლში რომ მოველ ბრძოლიდან,
რაც მე დამიხვდა ამბავი!
პირველ გავიგე — მოურავს
დაესრჩო ჩემი ცოლია;
დღეს იმის გულზე მუხლამდის
ამოსულია მოლია...

სახლში აღარვინ შემიშვა:
ვინ მოგცა შენ სახლ-კარიო?
სახლ-კარი, ეზო, ქონება,
სულ მოურავის არიო!
მოწმეთაც ვერრა მიშველეს,—
შესყიდულ იყვენ ფულითა;
მოურავისკენ ამბობდენ
მის მადლიერნი გულითა.
ფიცი გატეხა ურჯულომ,
და მიღალატა მწარეთა;
პანდურისა და წიხლების
ცემით გამაგდო გარეთა.
აწ შენ წინაშე მოველი,
ვარ მომლოდინე სამართლის,
ვიცი მე, დიდო მეფეო,
არ გსურს დაჩაგვრა შენ მართლის.—
რა მოისმინა ამბავი,
შეწუხდა მეფე ამითი;
ფიქრობს, რა უყოს ამ საქმეს
და ვერას შველის დავითი.

დ. თომაშვილი.

(დასასრული იქნება)

ადამიანთა სასჯელის ისტორიიდან.

წინანდელ დროში, ადამიანთა ცხოვრება პირუტყვულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ადამიანის ცხოვრება არაფრათ არ ფასობდა ან და თუ ფასობდა, მისი ფასი არ აღემატებოდა უბრალო ცხოველის ანუ პირუტყვის ფასს. ამის დასამტკიცებელ საბუთს ახლაც საკმარისათ ვხედავთ ჩვენ აზიის, ამერიკის და ავსტრალიის ველურ ხალხში. იქ ადამიანის მოკვლას სულ უბრალო მიზეზიც კი გამოიწვევს, და ეს არავის არ აღელვებს და აშფოთებს, როგორც მაგალ., ჩვენ დროის განათლებულ ხალხში. ეს მოვლენა, რასაკვირველია, ადვილი ასახსნელია, თუ ველური კაცის შეხედულებას მივიღებთ სახეში: ველური არავითარ განსხვავებას არ ხედავს თავისსა და ცხოველებთა შორის, რომლებთანაც მას ხვდება ხშირათ შეტაკება საზრდოს მოპოვების დროს. ამითვე აიხსნება ჩვენ დრომდის ველურ ხალხებში არსებული კანნიბალიზმი, კაცის მჭამლობა.



ადამიანთა სასჯელის ისტორიიდან.



ინდოელების ცხოვრებიდან.

თუ ამ ველურ ხალხიდან გადავალთ იქ, სადაც ადამიანთა ცხოვრება განვითარების გზაზე დამდგარა და უმაღლეს ხარისხამდის მიუხწევია, აი, რა ძირითად ცვლილებას აღმოვაჩენთ. რამდენათ თან-და-თან განვითარებულა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენათ ამაღლებულა ფასი თვით ადამიანისა. მაგრამ ეს წინადადება თხოულობს განმარტებას. თუ საზოგადოების ძლევა-მოსილ ნაწილის შემადგენელ წევრთა ფასი და ღირსება ამაღლებულა იქამდის, რომ მათი ზეციერი წარმოდგომაც კი მიუჩნევიათ, მეორე მხრით, ამავე საზოგადოების მეორე ნაწილი ისევ მდაბალ, პირუტყვულ არსებათ დარჩენილა. ეს ითქმის უმეტესათ დამნაშავეებზე, რომლებიც ისტორიის ყველა საფეხურზე თავის რაოდენობითაც შესამჩნევ ნაწილს წარმოადგენდენ. დამნაშავეთა ისტორია მჭიდროთ არის შეკავშირებული მთელი კაცობრიობის ისტორიასთან და იგი ჩვენ წარმოგვიდგენს ერთ და იმავე დროს დაუსრულებელ და სულის და გულის შემაშფოთებელ მოთხრობას იმათ ტანჯვა-ვაებისას და სასჯელისას. როცა თვალს გადაავლებს ადამიანი ამ დაუსრულებელი ტანჯვა-ვაების ისტორიას, ის ძალა-უნებურათ მივა იმ დასკვნამდის, რომ რამდენათ კაცობრიობას განუვითარებია თავის ნივთიერი, თუ ტეხნიკური ძალა, იმდენათ მას უფრო და უფრო განუვითარებია სასჯელის იარაღები, ე. ი. რაც დრო მიდიოდა კაცობრიობა სულ უფრო და უფრო სასტიკ და გასაოცარ სასჯელის და სატანჯველის იარაღებს იგონებდა. სასჯელისათვის სასტიკ იარაღების ხმარებით სურდათ, რომ რაც შეიძლება უფრო მწარეთ ეგრძნობინებიათ დამნაშავეთათვის მათი სასჯელი, რომ მით შეშფოთებულ და შეშინებულ ადამიანს დანაშაული აღარ ჩაედინა.

ამ მიზნის მიხწევისათვის არაფერს არ ზოგავდენ, არც ერთი ადამიანის სხეულის ნაწილი არ მოიპოვებოდა, რომ თითოეული მათგანისათვის განსაკუთრებული სასჯელი არ გამოეგონათ. შეუძლებელია ყოველ გვარ სასჯელის და მისი იარაღების აღნუსხვა და აღწერა. თავის და ხსეულის სხვადა-სხვა ორგანოების მოჭრა, ადამიანის ცოცხლათ მიწაში დაფვლა, ცეცხლში დაწვა, ჯვარზე გაკვრა სხვა-და-სხვა ნაირათ, სარებზე ჩამოცმა, დაკიდვა, დარჩობა, გატყავება, შუაზე გახლიჩვა, დაგდება, ათასნაირათ დასახიჩრება, ბნელ სარდაფებში ჩაგდება ბორკილებით სამუდამოთ, და სხვა ათას გვარი სასჯელი და სატანჯავი, წარმოგვიდგენს იმას, თუ როგორ შეუბრალებლათ უთელავდენ ადამიანურ პიროვნებას, იმათ ვინც დამნაშავის სახელს დაიმსახურებდა.

დღეს განათლებული სახელმწიფონი დარწმუნდენ, რომ ამგვარი სასტიკი და შეუბრალებელი ზომებით არა თუ თავის მიზანს ვერ აზწევენ, არამედ კიდევ უფრო აფუჭებენ საქმეს. ამიტომ თანამედროვე კანონმდებლობიდან განდევნილია ამგვარი სატანჯავნი და ზოგიერთ სახელმწიფოებმა სულ მოსპეს სიკვდილით დასჯა, მაგალ.: შვეციამ, ნორვეგიამ, დანიამ, ჰოლანდიამ, პორტუგალიამ, ზოგიერთ შვეიცარის კანტონებმა და აგრეთვე სამხრეთ ამერიკამ. უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოებში სიკვდილით დასჯა დღემდე სუფევს; მაგალითათ, ინგლისში უბრალო ქურდობისათვის სიკვდილით სჯიან. ჩრდილოეთ ამერიკაში ამას წინეთ სულ ახალი საშუალება იხმარეს დასჯისათვის,—ელოკტრუნული ძალით სიკვდილი. ამ საშუალებით პირველათ დასაჯეს ვილაც კემლერი, რამაც დიდი შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის ნერვებ აშლილ საზოგადოებაზე.

წვრილმანი.

ბატონ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მივცეთ პასუხი ბ. ყაფლან ხუნდაძეს, რომელმაც კვალის 21 №-ში გამოაცხადა, ვითომ მე 23 მან. მომეგროვებინოს ირაკლის ფონდისათვის და აქამომდე არ გადამეცეს სადაც ჯერ არს. არ ვიცი ბ. ხუნდაძემ როდის მიყო კანტროლი იმისი, თუ რამდენი ფული მოვაგროვე. მართალია იმან გადმომცა ერთი მანეთი და მოსვენებას არ მაძლევდა ჩქარა გამოაცხადე ჩემი სახელიაო და მე თუ აქამდის არ გამომიცხადებია შემოწირულთა სია, ეს იმიტომ, რომ ვიმედოვნებდი მეტი ფული შემეგროვებინა. ამავე დროს კერძო საქმეების გამო მომიხდა უეცრათ წასვლა თბილისიდან. აი სია შემომწირველთა, თითო მანეთი: ყაფლან ხუნდაძემ, კოტე წითლიევმა, ლავ. მამალაძემ, დათ. ჯუმუხაძემ, მარკოზ სანებლიძემ. ათი შაური: ათ. ქავთარაძემ, გ. კლიმიევმა, გ. ჯობინოვმა, ილ. ყორანაშვილმა, გ. პაპუნაშვილმა, ელ. კარცივაძემ, მ. როსტიაშვილმა, ალ. ფარცნალაძემ. ექვსი შაური: დ. ბათიაშვილმა, სილ. კუჭაიძემ. სულ შედგება 9 მან. 60 კაპ.

მარკოზ სანებლიძე.

აქამდის გვქონდა ირაკლის ფონდის ფული 99 მან. 30 კაპ. ამითი შედგება 108 მან. 90 კაპ.

* * *

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვეთ დაუთმოთ ადგილი ამ მცირე წერილს თქვენ პატივცემულ ჟურნალ „კვალში“. ჩვენ წავიკითხეთ „კვალის“ № 20-ში, ერთი ფრიად საგულისხმიერო შენიშვნა, რომელიც ეკუთვნის „კვირის სურათების“ ავტორს, ბატონს კვიმატს, რომელიც ეხება ერთ ძველ ანდერძის წიგნს და რომელიც შემთხვევით ჯერ თურმე ბ. ზ. ჭიჭინაძეს ჩავარდნია ხელში და ახლა „კვირის სურათების“ ავტორის საწერ მაგიდის უჯრაში განისვენებს. ხსენებულ ანდერძის წერილის შინაარსი „კვალის“ მკითველებს უკვე მოეხსენებათ და მისი ხელ-ახლათ განმეორება საჭირო აღარ არის. საეჭვოთ მიმაჩნია, რომ ბ. ჭიჭინაძემ, თუ გადასცა ანდერძის წერილი „კვირის სურათების“ ავტორს, სხვა ცნობებიც არ მიეცა იმის შესახებ: თუ ვინ იყო ავტორი იმ ანდერძისა და ან ვინ მისცა ეს ცნობა მას— ე. ი. ბ. ზ. ჭიჭინაძეს. ამ მცირე შენიშვნით მე მსურს გავასწორო ის შეცდომები, რომლებიც ნებსით—თუ უნებლიეთ—მოსვლია ბ. კვიმატს. უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ „კვირის სურათის“ ავტორი ანდერძის წერილის ავტორს უწოდებს ევსევი ციციშვილს მაშინ როდესაც მას ერქვა, ესტატე ციციშვილი, თბილისის მოურავათ წოდებული. აი სწორეთ ამ პირს ეკუთვნის ხსენებული ანდერძის წიგნი, რომლის გარემოება მე თვით უამბე დაწერილებით ბ. ზ. ჭიჭინაძეს და დიდათ გვიკვირს ამ უკანასკნელმა რატომ არ ინება ეს ეამბო „კვირის სურათის“ ავტორისთვის. მართალია, ანდერძის წერილისამებრ, ხსენებული თბილისში მცხოვრებელი დანელა ფითუაშვილი, ვალდებული იყო იმ ასის თუმნისა, რომელიც ესტატე ციციშვილმა გლახათა სასარგებლოთ უანდერძა, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენდა, ის ანდერძის წერილი თან წაიღო ესტატე ციციშვილმა, როდესაც იგი წაჰყვა თავის ბიძას (დედის ძმას) კათალიკოს ანტონ მეორეს რუსეთში, ნიჟნი-ნოვგოროდში. განსვენებული იქ გარდაიცვალა და ხსენებული ანდერძის წერილიც სხვა მრავალ ნივთებთა შორის დაიკარგა. ესტატე ციციშვილის მემკვიდრე დავით ციციშვილი ბევრს ეცადა, რომ ფითუაშვილის ვექსილი ენახა, მაგრამ ვერას გახდა. ალბათ მოსამსახურეებმა ესტატე ციციშვილისამ, რადგან კარგათ იცოდენ, რომ ფითუაშვილი მოვალე იყო, ისარგებლეს დროთი და სანამ დავით ესტატეს ძე რუსეთს გადავიდოდა მამის მემკვიდრეობის მისაღებათ, სხვა საცხოვრებელთან ერთათ ის ვექსილიც გააქრეს. აი, სწორეთ ასე გახლდათ საქმე, და ასევე გამიგონია ჩემს ყმაწვილობაში, თვით მამიჩემის დავით ესტატეს ძის ციციშვილისაგან.

ისაკ დავითის ძე ციციშვილი.

* * *

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი ჟურნალის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოეუცხადო კნ. მატრონა ბეჟანის ასულს წერეთლისას, რომელმაც გამოუგზავნა ჩვენ ამხანაგობას ოცი თუმანი, მოსკოვის ქართველ მოსწავლეთა ამხანაგობისადმი ნაანდერძევი პატივცემულ თავ. გრიგოლ წერეთლის მიერ.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების მონდობილობით

ს. ჯავასიშვილი.

ამონაკვნესი.

სალამი თქვენდა, აღშფოთებულ სულის ნაშობნო,
შავო ფიქრებო, აღსავსენო გესლით და შხამით,
სალამი თქვენდა, სალამს გაძლევთ, თუმც შუბლ შეკრული,
სამაგიეროთ თქვენც მოდიხართ მწარის ფიალით.
გულის მქეჯნავნო კვლავ მომნახეთ, კვალად ჩემთან ხართ,
თავს დატრიალებთ ჩემს განწირულ სულის ობლობას
და თუ ვერ გპოვე ჩემთა ჭირთა თანამგრძნობელი,
ნაცვლათ იმისა თქვენ იქნებით ჩემთან ყოველ ჟამს.
მაშ სალამს გიძღვნით უნებურათ, ჩემო მტარვალნო,
და შუბლ-შეკრული ძალათ სტუმართ გიწვდით მეც ხელსა,
მაგრამ ნუ ჩათვლით სილაჩრეთ და დამაბუნებათ
გამწვავებული ჩემი გულის ამონაკვნესსა.

ი. ევდოშვილი.

ნუშო.

(მოთხრობა *)

X.

გავიდა ხანი. ნუშო შეეჩვია ახალ მდგომარეობას, დიასახლისათ იგრძნო თავი, აღარ ეჩოთირებოდა, როცა მოსამსახურეები შედიოდენ, ქალბატონობით იხსენებდენ, ოჯახის თაობაზე ჰკითხამდენ რასმე. კეთილი ხომ მაინც ადვილი შესაჩვევია, სიკეთეში ცხოვრება ადვილი მოსახერხებელია, ბატონობას რა დიდი ჭირი უნდა?—კორსაიას სახლი სავსე ფიალა იყო, ქონება დუღდა და გადმოდიოდა; იმის მეუღლეს სინაზე და ბძანებლობლობა-ღა ეჭირვებოდა. ჯაგუს ჯიბე ნუშოს ნატვრის თვალი იყო: რასაც ქალი ისურვებდა, ვაჟკაცი მაშინვე გააჩენდა. უყვარდა, ძალიან უყვარდა და უნდოდა თავისი სასურველი ძვირფასი თვალივით ოქროში ჩაესვა; თანაც უნდოდა გაელაღებია ცოლი, რადგან გრძნობდა, რომ იმისი გული მხურვალე ვერ იყო იმისთვის, მხოლოთ ნელ-თბილი იყო.

— აბა, ჩემო კარგო, მივდივარ და ხომ არას დამაბარებ, ხომ არა გინდა-რა გამოგიგზავნო? ჰკითხავდა ჯაგუ ცოლს გარიჟრაჟზე.

— რა უნდა მინდოდეს? არაფერი არ მინდა, მარტო გუშინ რომ მოსკოვიჩის მაღაზიაში მაგიდაზე დასადგმელი მარმარილოს საათი ენახეთ, ის არ დაივიწყო, შენი ჭირიმე!

— კარგი, საყვარელო!

— რა არის, რომ ეგრე ადრე დგები? მეც მაღვიძებ...

— არ შეიძლება, საყვარელო! შენ არ იცნობ ხალხს: თუ მე თითონ არ ვადევნე თვალი ყველაფერს, თუ ფეხდაფეხ არ მივყევი ყველას, ერთ დღეზე გააქრობენ ჩემ ვაჭრობას.

— საწყალო ჯაგუ! რამდენს შრომობ! ეტყოდა ქალი და მოხვევდა კისერზე ბუნჩულა მკლავებს.

ჯაგუ დნებოდა ქალის ალერსზე, როგორც სანთელი ცეცხლზე, ამ წუთში მზათ იყო სიცოცხლე შეეწირა იმისთვის.

ქმრის წასვლას შემდეგ ნუშო ჩაჰკეტავდა საწოლის კარს და ტკბილ ძილს მიეცემოდა, ათ-თერთმეტ საათამდინ. მსახურები ფეხ-აკრეფით დადიოდენ, ქალბატონს ძილი არ დავუფრთხოთო. მაინც და მაინც საჭიროც არ იყო ქალბატონი შეეწუხებიათ რისთვისმე, რადგან სარისტა წინათვე იყო მიცემული ჯაგუსაგან. მზარეულს წინათვე ეძლეოდა სახარჯო, მარტო კვირისა და კვირის თავზე ანგარიში უნდა წარედგინა. სადილს სამ საათზე შლიდენ. ხშირათ ჯაგუ შინ არ იყო სადილათ; ვაჭრობაში ერთობოდა, ვერ იცლიდა, თუმცა შინ ახალი სული ეგულებოდა და გული იმისკენა ჰქონდა. ქალი ან მარტო სადილობდა, ან დედა ჰყავდა სადილათ, ან რომელსამე ნაცნობ ქალს მიიწვევდა. ჯაგუ გვიან ათავებდა საქმეს და მაშინვე შინისკენ ეშურებოდა, ცოლის ნახვაზე ღლიური ზრუნვა ავიწყდებოდა, გულს ვარდი ეფინებოდა. ნუშომ იცოდა ქმრის მოსვლის დრო; სუფთათ ჩაცმული მიეგებებოდა, გაუღიმებდა, ნათელს მიჰფენდა.

ახლა ჯაგუს ოთხივე ოთახი შვენივრათ იყო სულ ახალი ავეჯით მოწყობილი. ნუშოს დიდ-კაცობაში ენახა ოთახების მოწყობილება, თითონაც იმ ყაიდაზე აწყობდა თავის სადგომს. ერთი ის იყო ცუდი, რომ ჯაგუს სადგომს სასტუმრო დარბაზი არა ჰქონდა: სახლის მეორე ნახევარში მდგმური იდგა და დარბაზი იმას ეჭირა; აქათ მხარეს მარტო მომცრო ოთახები იყო. ჯერ მანამ დიასახლისი ორ-სამ ქალს იწვევდა სადილათ ან ჩაიზე, სასტუმროთ მომზადებული ოთახი ჰყოფნიდა. ქალს უდარბაზობა არ მოწონდა. მართლა და როდემდინ უნდა ყოფილიყო ის ასე შევიწროებული?!

*) იხ. „კვალი“ № 21.

— ქა! იქნება ერთი ათიოდე ადამიანი გვინდა მოვიწვიოთ, იქნება მინდა ერთხელ მაინც პატივი ვცე ჩემ ტოლ ქალების ნათესავებსაც. კნეინა ელისაბედმა რომ ნახოს დარბაზი არა გვაქვს, ტუჩს აგვიგრჴავს: გაუნათლებელი არიან, სიმდიდრის მოხმარება არ იციანო,—ფიქრობდა ნუშო. ქმრისთვის კი ჯერ პირ-და პირ არაფერი გაემჟღავნებია, თუმცა ყოველი შემთხვევით სარგებლობდა სასტუმროს ვიწროობა ეგრძნობინებია იმისთვის.

თვის ოცი იყო. ჯაგუს მდგმური პოლკოვნიკი გლობაქი ამ დღეს შეგზავნიდა ხოლმე ოთხ თუმანს, რომელსაც იხდიდა ყოველ თვე სადგომში. ეს დღე ამოირჩია ნუშომ თავის სურვილის შესასრულებლათ. წინა დღითვე ტკბილი არშიყობა დაუწყო ქმარს: ისეც სანდომი ნუშო, თუ კი მოისურვებდა, ეშხით კაცს გააგიჟებდა. ქმარს თავბრუ დაასხა ცოლის ალერსმა. დილით თითონაც ქმართან ერთათ ადგა და თავის ხელით გაუკეთა ჩაი. საჯვათი სადილაო კაბა ქალს ტანზე ეხვეოდა მიხვრა-მოხვრის დროს და ცხადათ სახავდა ნაპატივებელ სხეულს, მარცხენა მკლავზე მარგალიტებით შემკული და ძეწკვ-ჯინჯილებით მორთული ოქროს სამაჯური ეკეთა. ამ სამაჯურს ქალი არასოდეს არ იშორებდა მკლავიდან. ნაწნავები დაეხსნა და ხშირი თმა ბეჭებზე გადაეყარა. ჯაგუ ტრფობით მთვრალი წავიდა საქმეზე; ღიღინებდა: ეგონა გაათბო ცოლის გული. ქმარი რომ დაბრუნდა, ცოლი ისევ მხიარული დაუხვდა, თავს ევლებოდა, უსურ ვაზივით ეწმახნებოდა. ჯაგუ სადილზე იჯდა, როცა შევიდა პოლკოვნიკის მსახური და მიართვა ფული. სახლის პატრონმა მოაწერა ქაღალდზე ხელი და დიასახლის გადასცა ფული. ნუშო ამას ელოდა. ფული იქით მიაგდო, ტუჩები დაიბურცა, პირი შეიბრუნა. შეწუხდა შეყვარებული ქმარი, ჰკითხა ცოლს უსიამოვნების მიზეზი. ქალი ხმას არ იღებდა, იბუტებოდა. თან კი გვერდზე გახედავდა ქმარს: იცოდა, რა ძალიან უხდებოდა გაბუტვა, იცოდა რა სიამეს მიაგებდა ვაჟკაცს, როს მიბჟუტვით ნისლით გამოუდარებდა მას. ბოლოს შეჰბუზღუნა:

— ნეტა ვიცოდე, რით არის ჩვენზე მეტი ე გლობაქია თუ ვიღაც,—სიმდიდრით თუ გვარიშვილობით,—რომ ჩვენ სახლში უკეთესი ოთახები უჭირავს და თვეში რაღაც ოთხ თუმანს იძლევა?!

მდგმური ჯერ ერთი ჯაგუს მუშტარი იყო და გულუხვი მუშტარიც, მეორე ძალიან კარგ ფასს იძლეოდა სადგომში და თანაც ნაღდი კაცი იყო: ქირას არას დროს არ აგვიანებდა. ჯაგუს სახლი კი ჯერ ისევ ბანკში იყო დაგირავებული: საჯარო ვაჭრობით რომ დაინარჩუნა ეს სახლი, ბანკის ვალი თავისზე გადმოიტანა. სახლის ქირა ამ ვალის გადასახადათ ჰყოფნიდა, პატრონსაც ბინას აძლევდა მამული. ამიტომ ჯაგუს ძალიან ემძიმა მდგმურზე ასეთი ლაპარაკი, მით უფრო ემძიმა, რომ მიხვდა ამ საუბრის მიზანს და ისიც იცოდა, რომ უთუოთ აასრულებდა ცოლი სურვილს. მაინც სცადა შეეყენებია საქმე.

— ქალო, განა არა გვყოფნის ჩვენი ოთახები?

— გვყოფნის! გვყოფნის! შენ გინდა მოლოზანივით კარ-ჩაკეტილში მაცხოვრო! აბა, თუ კაცი ხარ, ერთ ათიოდე სტუმარს მიიღებ...

— ეგ კაცი კარგ ქირას იძლევა, პატიოსანი ოჯახი აქვს, დიდი ხანია ამ ოჯახში ცხოვრებს, ძალიან პატივსა ვცემ და აბა როგორ დავითხოვო სახლიდან?

— მერე ვინ გეუბნება დაითხოვე? ის აქეთ გადმოვიდეს და ჩვენ იქით გადავიდეთ. მკვლიანთ კი უნდა ჰქონდეთ ნაქირავებელ სახლში დარბაზი, ჩვენ კი ჩვენ სახლში არა...

— შენ რომ ამბობ, ეგრე არ მოხერხდება: თავს დამცირებულათ ჩათვლის და ეწყინება; ჯობია პირ-და-პირ დავითხოვოთ.

— დამცირებულათაო?! მაშ ჩვენ დასამცირებელი ვყოფილვართ, რომ აქა ვცხოვრებთ... აღარ მინდა აქეთ ცხოვრება, იქით მინდა! ჩვენი სახლია და მინდა! თქვა ქალმა და ქვითინი ამოუშვა.

ცრემლები დილის ნამივით გადმოეკიდენ გძელ წამწმებს, ცრემლებმა დალარეს ვარდის ფერი ლოყები, ცრემლებმა ლაპა-ლუპით დაიწყეს კალთაში დენა, ცრემლებმა... ოო! ეს ცრემლები კაცს დაადნობდენ, კაჟს დაალბობდენ, ქვას აატირებდენ. მტარვალის გული უნდა დებოდა ჯაგუს მკერდში, რომ არ მორბილებულიყო. განა არა ღირდა ათას სახლათ, მთელ დუნიათ მარტო ის ნეტარება, რომ მხურვალე კოცნით ამოეშრო კაცს ეს ცრემლით სავსე თვალები?!

მაგდა რომ დასწრებოდა ამ ლაპარაკს, იქნება ემხილებია როგორმე ქალი, მაგრამ ის იმ დღეს არ იყო იქ. ქალთან მაშინ მივიდა მაგდა სანახავათ, როცა დაინახა, მდგმური ბარგს ეზიდებოდა. ეწყინა. სანდო ოჯახი ანებებდა სადგომს თავს.

— ვინ იცის ახლა ვინ დადგება? ქალი მარტოა, გვერდით ამისთანა ოჯახის ყოლა ბურჯივით მიმაჩნდა,—გაიფიქრა მაგდამ.

ჯერ სახლში არც კი შესულიყო დედა, როცა ქალი გადაეხვია და ახარა, სადგომს ვიცვლით, ჯაგუმ ჩემი სიტყვით მდგურები დაითხოვა და ახლა მეორე მხარეს ვიცხოვრებთო. დედას არ იამა ეს და უსაყვედურა:

— ჯერ ერთი წელიწადია, რაც ქმრის ხელში

ხარ და ხელს კი უშლი მომგებ ვაჟკაცს! საქმე როდი უნდა დაუცადო, შვილო: ვაჭარი კაცისათვის დიდი რამ არის თვეში უკვდავათ ოთხი თუმანი. გაუფთხილდი, შვილო, ოფლით მონაგარს ქარს ნუ მისცემ; სიმდიდრემ წყალსავით მალე იცის ამოშრობა.

ნუშო დედის სიტყვებს, ვერ მიხვდა, ვერ ჩაუკვირდა იმათ. არც შეეძლო დაჰკვირებოდა: დედის სახლში ხომ მზა-მზარეული მოდიოდა ყველაფერი, იქ ხომ შრომა დედისა იყო, შრომის ნაყოფი კი ქალისა; ქმრის ხელშიაც მთლათ უზრუნველი ცხოვრება არგუნა ბედმა, ქალს ღრმათ ვერ ჩაეხედა ცხოვრებისთვის, იმისი გონება ცხოვრებას უტივტივებდა, ცხოვრება მარტო ყვავილიდან ყვავილზე გადაფარფალება ეგონა. დედა რომ არიგებდა, ქალი იმის ფიქრს გაეტაცა, როგორ მოვაწყო დარბაზიო, დედას ხან რასა ჰკითხავდა ამის შესახებ, ხან რასა. მაგდასაც მეტი რა ღონე ჰქონდა, რომ არ ერჩია ან ის, ან ეს.

ჯაგუს ოჯახში ახლა უფრო ხშირათ დაიწყო სტუმარმა სიარული. თავლი იყო და ბუზი ბალდადიდანაც მოდიოდა. მოდიოდენ ნაცნობები და ნაცნობების ნაცნობები. უმეტეს ნაწილათ ქალები ან სადილათ, ან ლოტოზე, რომელიც ვახშმობამდინ გასტანდა ხოლმე. ვაჟკაცებიც ერივენ. ორგვარი სტუმარი ელტვოდა ნუშოს. თავის გარეთუბნელი ტოლ-ამხანაგი ნათესავებით და ნაამხანაგარი თავადიშვილის ქალები და იმათი საკადრისი სტუმრები. როცა ეს უკანასკნელები ჰყავდა მოწვეულები, ნუშო მაშინ იყო გამოჩენაში; პირველები მალე მოიმწვანილა, მედიდურება დაიწყო იმათთან, ისე გამოდიოდა თითქო იმისთვის პატიჟობდა იმათ, რომ თავისი ქონება და მდიდრული ცხოვრება ეჩვენებია, თავისი უპირატესობა ეგრძნობინებია. მართალია, დღიური ლუკმისათვის მშრომელი ხალხი იყო გარეთუბნელები, მაგრამ კაცური სიამაყე არ აკლდათ: იგრძნეს დამცირება და შემოეფანტენ. სახლიც ისე ჰქონდა მოწყობილი კორსაიას, რომ დაბალი ხალხისათვის მდიდრული იყო, შეუფერებელი. მაღალი საზოგადოებაც არ ეტანებოდა ჯაგუს სახლს: მაინც და მაინც საინტერესოს არაფერსა ხედავდენ აქ. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა ჯაგუს მიმდევარი ხალხი: ესენი იყვენ ის ვაჭრები თავიანთ ოჯახობით, რომლებსაც რამე დამოკიდებულობა ჰქონდათ კორსაიასთან, მცირე ჯამაგირიანი მოხელეები და დაქვეითებული კეთილშობილობა, რომლებსაც ჯაგუს სახლის სიუხვე იზიდივდა. კეთილშობილებშივე რაცხდა თავს ჯაგუს ხშირი სტუმარი რეზიკო, რომელიც არცა ჰხნავდა, არცა თესავდა, ცხოვრებდა სიამით, როგორც ფრინველი ცისა.

ჯაგუს ვაჭრობა უწინდებურათ იყო გაჩაღებული, ფული ჩეჩქივით მოდიოდა და ამისთანა ხარჯები იმის ქონებას ვერ შეარყევდა, თუმცა შეუყენებელ ზდას უშლიდა; ის კი იყო ძნელი, რომ საქიროება მოითხოვდა მასპინძელს თითონაც მიეღო მონაწილეობა შექცევებში; ეს კი არ უხდებოდა ვაჭრობას, რომელიც მთლათ ჯაგუს მხნეობაზე და სიმარჯვეზე იყო აგებული. მიიწურა შემოდგომა და ეს უხერხულობაც მოშორდა: ზამთარში მუშტარი კლებულობდა, ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა. ჯაგუ მდიდრულ ცხოვრების ტბაში შეცურდა და განცხრომის ტალღებს მიენდო; საბძელი ეწოდა და ხელს ითბობდა.

XI.

ჯაგუ ბედნიერათ ჩათვლიდა თავს, რომ ერთი დარდი არა ჰქონოდა: აგერ მეორე წელიწადი თავდება, რაც ჯვარი დაეწერა, შვილი კი არა ჰყავდა.

— ცოლი უშვილო გამოდგა. ჩემ შემდეგ ჩემი სახელი გაჰქრება, კერა ჩამიქრება. რათ მინდა სიმდიდრე ან მაინც და მაინც რისთვის ვიწვალო? ჩემ შემდეგ ვინ იცის ვინ გაიხარებს ჩემ მონაგარზეო,— წუხდა ჯაგუ.

სამწუხაროც იყო. შვილიერება შეუღლების დაგვირგვინებაა: შვილი განხორციელებული ერთობაა ცოლ-ქმრისა, რადგან იმის პიროვნებაში მშობლების ორი არსება ერთ არსებათა ხდება. ერთ გვამათ მოივლინება, ერთდება, როგორც დასკვნაში ორივე დასასკვნელათ წამძღვარებული აზრი. შეუღლება უნაყოფოთ თავის მიზანსა ჰკარგავს, ბუნებისაგან შეუწყნარებელი რჩება, ვნების დასაცხრომელ საშუალებათ-ღა რჩება. ნაციონალური აზრის წინ ხომ მთლათ გათახსირებულია ესეთი მეუღლეობა: ხალხის თვით არსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ბძოლაში გამრავლებას და, მაშასადამე გაძლიერებას, დიდი ადგილი უჭირავს, უშვილოების კავშირი კი არამც თუ არ ეხმარება ამ გამრავლებას, ხელსაც უშლის, რადგან თუ ქალია უშვილო, იმასთან ქმარია მომცდარი და თუ კაცი — იმასთან ცოლი. ეს არის მიზეზი, რომ ყველა ნაციონალური რელიგია უშვილობას უმთავრეს მიზეზათ თვლის ცოლ-ქმრის გაყრისას. ქრისტიანობას ქორწინებისათვის საფუძვლათ მარტო სიყვარული დაუდვია, სიყვარული სიყვარულისათვის, ისეთი სიყვარული, რომელსაც სხვა არაფერი გარემოება არა აქვს სახეში, რომელიც ყველა სხვა გარემოებას მეორე

ხარისხოვანათა თელის. ესეთმა განყენებულმა სიყვარულმა ისე მჭირდოთ უნდა შეაერთოს ორი სული, რომ ერთ პიროვნობათ გახადოს; ერთი არსების გაკვეთა კი შეუძლებელია. ქრისტიანობაც მარტო გარემოებისათვის გაჰყრის ცოლ-ქმარს, ესე იგი, როცა დარწმუნდება, რომ კავშირი სიყვარულზე არა ყოფილა დამყარებული, რადგან მრუშობა იქ იწყება, საცა სიყვარული თავდება, მრუშობას იქა აქვს ადგილი, საიდანაც სიყვარულის აშგელოზი გაფრენილა. ესეთი შეხედულება მეუღლეობაზე ყველა ქმრისაგან ტარიელობასა თხოულობს და ყველა ცოლისაგან ნესტან-დარეჯნობას.

ჯაგუ ამ სიმაღლეს ვერ შეწდომოდა, ტარიელი არ იყო ის,—განა ბევრია ამ შემთხვევაში ტარიელი?—და თუმცა მეტათ უყვარდა ცოლი მაინც ცხოვრების მხრითაც უყურებდა საქმეს: გულით უნდოდა ჩამომაეალი ჰყოლოდა და წუხდა, განგებას უწყრებოდა. მაგრამ ჩქარობდა ჯაგუ და ტყუილათ ემდურებოდა ყისმათს: ბედის ჩარხი ჯერ იმისკენ ბრუნავდა. აგერ რამდენიმე ხანი იყო ნუშო ნიშნებს ატყობდა, რომ დედობა მოელოდა; ქმარს კი არას ეუბნებოდა, რადგან წინათაც რამდენჯერმე ეგონათ ასე და იმედი გაუცრუებიათ. ეტყობოდა კი ქალს ცვლილება: ხან სახე ეღიმოდა, ხან მოუსვენრობა ემჩნეოდა; თვალები თითქო უფრო კეოლოანი, ბუნდოვანი და ნამიანი გაუხდენ, ორ აზროვანი, საიდუმლო გამომეტყველება მიიღეს. ცოლი უფრო და უფრო ეალერსებოდა ქმარს. ჯაგუ ყოველთვის ყურადღებას აქცევდა, რა გუნებაზე ჰყავდა მეუღლე; ახლა ატყობდა აღელვებას, ატყობდა, რომ რაღაცა ჰქონდა სათქმელი. უთუოთ რამე დიდი ხარჯი მოუნდომებია და მეხათრებაო; გაფიქრა ჯაგუმ. ჩაეკითხა. ქალი დარცხვენით მიუახლოვდა ქმარს, მიეკრა და ყურში ჩასჩურჩულა თავის საიდუმლო. კორსაია სიხარულით ცას ეწია, გულში ჩაიკრა, კოცნით აგრძნობინა თავისი აღტაცება, მადლობა. ამის შემდეგ ნუშო ნამდვილი სალოცავი გახდა თავის ქმრისა. ეგონა ახლა ყველაფერი აენებდა იმის მეუღლეს, ცდილობდა სიო არ მიდენოდა. ქალიც უფრო განაზდა, გაითხლიშა; დიდი აზიზობის ნიშნათ ენასაც კი უკიდებდა ხანდისხან, ქართულს გრეხავდა, ასხვაფერებდა.

— დჟაგო, დუშკა დჟაგო! წადი ასტადიურიანთან, უთხარ ატკრიტი ტუფლები შემიკეროს, ზომა იცის.

— ქალო, ვინ ასტადიურიანთან? ჩვენ პოღოზ ასატურიანცთან?

— ჰო, უთხარ ზომაზე ცოტა ვიწრო დაიჭიროს.

ჯაგუ გარბოდა გამოჩენილ ხარაზთან, თუმცა ჯერ ორი კვირა არ იყო, რაც თორმეტ მანეთიანი ფეხსაცმელი მოეტანა იქიდან.

გავიდა დრო. რაც ხანი გადიოდა, იმდენათ ქალს სიზარმაცე ემატებოდა, უცნაური სურვილები ეშლებოდა, აეზნევდებოდა. ექიმი და ბებია გაუწყეტლივ ადევნებდენ თვალს ფეხ-მძიმეს, არიგებდენ ქმარს არაფერი ეწყენინებია, ყველაფერი აესრულებინა, რასაც კი თხოვდა, მაგრამ მაინც დღე არ გადიოდა ისე, რომ რაზედმე არ გაჯავრებულიყო ქალი. მოახლოვდა დრო. ქალი სამზადისმა ეატაცა. რა საცვალი, რა საურები, რა პაწია საბნები, პერანგები, არაღჩინები, სახვევები, სულ რბილი და ძვირფასი საქონლისა, სულ წმინდა არშიებით და ბაბთებით მორთული. ხომ პაწაწინა ნივთები იყო, მაგრამ ერთ ოჯახს წელიწადს ეყოფოდა, რაც იმათში ფული ჩაიღუპა. თითონ ფარჩა რაც ღირდა ღირდა, მკერვლის ხელ-ფასი უფრო აჭირებდა საქმეს.

— იყიდე; საყვარელო, მოამზადე! დეე, ყველაფერი იყოს სახლში, ეუბნებოდა ჯაგუ, რადგან ხედავდა ეს ფაცი-ფუცი ართობდა ქალს.

რაც უფრო დრო იწურებოდა, იმდენი ავდებოდა ქალი. ნუშო მაინც და მაინც ბოროტი ადამიანი არ იყო ბუნებით, მხოლოთ ალქატი ხასიათი დაიჭირა და მედიდურობით იყო გატაცებული; ეხლა კი მთლათ გააშრდა. ერთი უბრალო მიზეზი კმაროდა, რომ პირში სცემოდა ქმარს. აღარც იმისი სიარული და მიხვრა-მოხვრა მოწონდა, აღარც იმისი ჩაცმა-დახურვა, სუნთქვაც კი სხვანაირი უნდა ესწავლა, ცოლისთვის რომ ყური ეგდო. დღე ისე არ გავიდოდა რამდენჯერმე არ ეჩხუბა. მსახურები ხომ დაღალულები იყვენ იმის ტუქსვით, ჯაგუმ იცოდა, რომ ყველა ეს დროებით მოვლენა იყო, რომ ეს ყველაფერი გუნებნაქცევობის მიზეზი იყო და ითმენდა, ან როგორმე იგერებდა ცოლს.

მეუღლე რომ ეკაპუნებოდა ჯაგუს, იმას სულ ერთი ამბავი აგონდებოდა, რომელიც ძალიან ჩაუდეოდა ტვინში: ერთხელ თავის ბატონმა ნათლუხში გაგზავნა ის. წვიმდა. ქუჩებს რომ გაცდა და ბაღს მიუახლოვდა, წინ რამდენიმე სოფლელი კაცი შეხვდა, გიჟი მოჰყვანდათ. ხელები უკან გაეკრათ გიჟისათვის, თოკის წვერი ერთისთვის მიეცათ და წინ გამოეგდოთ. გლეხს ერთ ხელში რომ თოკი ეჭირა, მეორე ხელით კომბალი აეღო. სხვები უკან მოდევდენ. გიჟი ხტომით მოდიოდა, შიშველა ფეხებს ტალახში აჭყაპუნებდა, თანაც ყოველ წუთს ცდილობდა მიეარდნოდა იმას, რომელსაც მოჰყვანდა; ის კიდევ კომბლით იგერებდა ავათმყოფს რამდენსამე ადგილას გახეთქოდა კანი და სისხლი ჩამოდოდა. ჯაგუ ალერსით და ფულით აშოშმინებდა და იგერებდა ამრეზილ ცოლს. სხვა რა უნდა ექნა? მაინც კი ბევრი მოთმინება ჭირდებოდა. არც თუ ისე ძნელი იყო იმისთვის მოთმენა: კაცს ჯოჯოხეთის ტანჯვის ატანა შეუძლიან, თუ იცის რომ ტანჯვას სიამოვნება მოდევს, ჯაგუსათვის კი შვილი ბედნიერება იყო.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. თფილისში ფაძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1896 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია ფაძრავ-ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1893 წლის 27 დეკემბრის ფმაღლესათ დამტკიცებულის აზრის თანახმათ.

1896 წლის გადასახად ჯამს შეადგენს 68,529 მან. და 52 კ. და გადასახადის აკრეფის ხარჯათ თფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2,800 მ., რომელიც, თანახმათ მიწებზე დაწესებულ გადასახადის დებულების მე-13 მუხლისა, უნდა გამოერთვათ მამულის პატრონთ, რომელთაც გადასახადი აქვთ გაწერილი.

1896 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილ ქ. თფილისის ფაძრავ მამულების ღირებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძველითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 37,116,990 მან. (მეტი შედარებით 1895 წ. 961,275 მან.), მაშასადამე ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

დასაფასებული ჯამი.	ასიდი გადასახადი.		გადასახადის აკრეფის ხარჯ.		ს უ ლ.		დასაფასებული ჯამი.	ასიდი გადასახადი		გადასახადის აკრეფის ხარჯ.		ს უ ლ.	
ძანეთი.	ძან	კაპ.	ძან.	კაპ	ძან.	კაპ	ძანეთი.	ძან.	კაპ	ძან.	კაპ.	ძ ნ.	კაპ.
100,000	184	64	7	55	192	19	700	1	29	—	05	1	34
80,000	147	71	6	04	153	75	500	—	92	-	04	--	96
50,000	92	32	3	78	96	10	300	—	55	—	02	—	57
30,000	55	39	2	27	57	66	100	—	18	—	01	—	19
15,000	27	69	1	14	28	83	80	--	15	—	01	—	16
10,000	18	46	—	76	19	22	50	—	09	—	—	—	09
8,000	14	77	—	60	15	37	40	—	07	—	—	—	07
6,000	11	08	-	45	11	53	30	—	06	—	—	—	06
4,000	7	39	.	30	7	69	10	—	02	—	—	—	02
2,000	3	69	—	15	3	84	9	—	02	—	—	—	02
1,000	1	85	—	08	1	93	5	—	01	—	—	—	01
900	1	66	—	07	1	73	3	—	01	—	—	—	01

მაგალითი. ამ გვარათ, 8745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—16 მან. 14 კაპ. (8000 მან.—14 მან. 77 კ., 700 მან.—1 მ. 29 კ., 40 მან.—07 კ. და 5 მან.—01 კაპ. სულ 16 მან.

14 კაპ.) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—65 კ. (60 კ.+05 კ.=65 კ.); 56,538 მან. დაფასებულს მამულს—სახელმწიფო ხარჯი 104 მან. 39 კ., (92 მან. 32 კ.+11 მან. 8 კ.+92 კ.+06 კ.+01 კ.=104 მან. 39 კ.) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—4 მან. 27 კ. (3 მ. 78 კ.+45 კ.+04 კ.=4 მან. 27 კ.) ე. ი. ახალი გადასახადი ერთათ გადასახადის აკრეფის ხარჯით ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გადასახადზე თითქმის $^1/_4$-დით.

დარჩენილი გარდასახადის გარდახდევინება 1888, 1890 და 1891 წწ., რომელიც ნაწილ-ნაწილათ უნდა იქმნას გარდახდილი ხუთის წლის განმაველობაში, წელსაც გამოერთმეა $^1/_5$ ნაწილი.

უძრავ მამულების ახალ გადასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცარიელ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (ბიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. თფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის ნაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწერილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 №-ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (განაწილებულ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1896 წ. 140 მან.)

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწერილებით ცნობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის გაწმაველობაში განცხადების დაბეჭდიდან გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასელის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცდება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოთ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა.

გურიის საეპარქიო-სამრევლო ამხანაგობის „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“-ს გამგეობა აცხადებს: ამხანაგობამ უკვე დაიწყო თავისი მოქმედება და ამიტომ თხოვს თავის წევრებს, რომლებსაც სრულიათ არ შემოუტანიათ საწევრო ფული, კეთილ ინებონ მისი შევსება.

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში

„ქართული გოტიკური ანბანი“

გამოცემული ს. ტარუაშვილის მიერ.

ფასი ერთი შაური.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ 25 Мая 1896 г. — Тип. М. Л. Ротиніанца სტამბა, ᲗᲑ. ᲥᲝᲥᲝᲜᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐ Гол. пр., № 41.